

# საქართველო

საქართველო  
საქართველო

94

საერთოული გაზეთი

შაბათი 1 ივლისი 2000 №124 (1146)

ფასი 50 თეთრი

ავთანდილ  
სვანიძე



ლონდონიდან

## ნემსი ზვინში

ალექსანდრა მებრეპელი:  
ისევ თბილისელი ვარ...



უიმბლდონის 1973 წლის ფინალისტა და ყველა დროის საუკეთესო ქართველ ჩოგბურთელთან, ბატონ ალექსანდრე მებრეპელთან გასაუბრებას „ოლ ინგლენდ კლაბში“ მოხვედრის პირველივე დღიდან ვაპირებდი. ვიცოდი, რუსულ არს „ენტევე პლუს სპორტისთვის“ აქედან რეპორტაჟები მიჰყავდა და დარწმუნებული ვიყავი, სულ იოლად მივაგნებდი, ანდა შემთხვევით შევხვდებოდი, ჩვენ ხომ ახლა, ფაქტობრივად, კოლეგებად შეიძლება ჩავითვალოთ.

„მაგრამ ეს ასე იოლი სულაც არ აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ უზარმაზარ „მილენიუმ ბილდინგში“ სატელევიზიო არხებისა და კომენტატორებისთვის ადგილი ვერ მოინათა, ისინი კომენტატორებს უნდა ედებოდნენ „ბროდვასტ სენთერში“ დაბინავდნენ.

მაინცდამაინც პატარა არც ეს შენობაა. მისადგენში რუსული არხის შესახებ არაფერი იცოდნენ და მეც ლამის თითოეულ ოთახში დავიწყე ძებნა, თუმცა უშედეგოდ.

დახმარებისთვის ცენტრის ადმინისტრაციას მივმართე. ჯერ მითხრეს, ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა, მაგრამ ჩემი იმედგანადურული გამომეტყველების დანახვაზე გული აუჩუყდათ, კომპიუტერი გადაქექეს და გაირკვა, რომ „ენტევე“ შენობაში სულაც არ იყო და მხოლოდ პატარა ჯიხური ჰქონდა გამოყოფილი ცენტრალურ კორტზე.

ოთხშაბათ საღამოს იქ მხოლოდ ანა დმიტრევა და უიმბლდონის კიდევ ერთი ფინალისტი, ოლეგ მოროზოვა დამხვდნენ. კარგა ხანს ვიცდიდი, სანამ, ჩემდა ბედად, ამ უკანასკნელმა დაცემინება არ დააპირა, და რაკი ამ ხმის მთელ რუსეთზე გადაცემის სურვილით არ ინვოდა, მიკროფონს პირი მოარიდა, ცხვირზე ხელი წაიჭირა და ჩემსკენაც მოიხედა. ისევ არ გამომართლა, ბატონი ალექსანდრე თურმე საფრანგეთ-პორტუგალიის ნახევარფინალური მატჩის სანახაუდ გასულიყო.

საბოლოოდ ჩვენს სახელოვან ჩოგბურთელს მეორე საღამოს, მძიმე სამუშაო დღის ბოლოს შევხვდი.



## ხვალ რობერტო: საფრანგეთი თუ იტალია?

რა ხდება ფინალამდე... ბრძოლისწინა ამბები იხილეთ მეორე-მეექვსე გვერდებზე



ფრანგთა ყველაზე დიდი არგუმენტი ზინედინ ზიდანია, რომლის მართლაც დიდოსტატურ თამაშს იტალიელები უშიშთ, ევროპა კი მოუთმენლად ელის


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



ატრიე არფტერს, პიტ სამპრასთან და ანრე აჯასისთან ერთად, ფაგორიტებში მოიხსენიებენ



ფინალის წინ მღელვარებას არც როჟე ლემერი (მარცხნივ) იმჩნევს და არც იშვიათად მომღიშო მხოლოდ



ფინალის წინ მღელვარებას არც როჟე ლემერი (მარცხნივ) იმჩნევს და არც იშვიათად მომღიშო მხოლოდ

REUTERS შენგალიდან

















# ქარდელი და ბოკური გალათასარაიში

თურქეთის ახალი ამბების სა-  
აგენტომ გუმინ ასეთი ცნობა გა-  
ვრცულა: უფასო თასის მფლობელ-  
მა „გალათასარაიში“ „პორტუს“  
ბრაზილიელი მეგობარ მარიაო ჟა-  
რდელი და ლაციოელი ალენ ბო-  
კური შეიძინა.

ლოური კლუბის თავმჯდომარე მე-  
ჰმეთ კანსუს იმონშეზს, გარიგების  
დეტალებსაც გვამცნობს. თუ-  
რქებს ჩემპიონთა ლიგის ბომბა-  
რდირში 28,5 მილიონი, ხოლო ხო-  
რვატში 17 მილიონი დოლარი გა-  
დაუხდიათ.

რის“ ვარსკვლავი ჰაქან შუქური  
მილანის „ინტერში“ გადასვლას  
დათანხმდა და კლუბის ამ ორი  
ფეხბურთელით დაინტერესებაც  
ამით უნდა იყოს გამორეკული.  
ისე, აქამდე, ამბობდნენ, „გალა“  
ვალეებში იხრჩობაო და ახლა ამ-  
დენი ფული ნეტავ, სად იშოვებს?


მსპანეთის პრემიერადივიზიონელ  
„ვალადოლიდს“ სულ მალე, ალბათ მე-  
ქსიკელი კვატემოკ ბლანკო შეემატება.  
კლუბი ფეხბურთელის აგენტთან უკვე  
აწარმოებს მოლაპარაკებას. „ვიმელო-  
ნებთ, რომ უახლოეს მომავალში შევ-  
თანხმდებით, ახალი სეზონიდან ბლანკო,  
ალბათ ჩვენთან ითამაშებს“ — განაცხა-  
და „ვალადოლიდის“ პრესატაშემ ესპანური კლუბი მექსიკურ, „ამერიკას“ ფე-  
ხბურთელს ჯერ, ალბათ ერთი წლით ითხოვებს, ხოლო შემდეგ, შესაძლოა შე-  
იძინოს კიდევ.



რუმინეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ანგელ იორდანესკუ ბუ-  
ქარესტის „რაბიუს“ მწვრთნელად დაინიშნა. კლუბის განცხადე-  
ბით, იორდანესკუმ მათთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფი-  
ნანსური წერილობითი არ დაუხსნებიათ. ბუქარესტული კლუბი  
ცოტა ხნის წინ მირჩა ლუჩესკუმ დატოვა. იგი თურქეთის ჩემპიონ  
„გალათასარაის“ ჩაუდგა სათავეში. 52 წლის იორდანესკუ რუმე-  
ნეთის ნაკრებს 1993 წლიდან 1998 წლამდე აგარჯიშებდა, 1994 წლის  
მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდი მეოთხედფინალში მოახვედრა, მისი  
ხელმძღვანელობით ნაკრებმა 1996 წლის ევროპისა და 1998 წლის  
მსოფლიოს ჩემპიონატებზე ითამაშა.

## ვინ ბაკა გამოვლავა? ქნელია გერმანიის ნაბრების თავბაცობა — ალიარებს ბეკენბაუერი

„როდის წარუდგენთ საზოგადოებას გერმანიის ნა-  
ბრების ახალ თავკაცს, ვერ ვეტყვით. ან კი როგორ უნდა  
ვითხრათ, როცა ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ იქნება იგი.  
კანდიდატურა ჯერჯერობით მხოლოდ ერთია — კრისტოფ  
ლაუმი, თუმცა მისი დანიშნა ჯერაც სათუა“ — განა-  
ცხადა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენ-  
ტმა, ამავდროულად მიუნხენის „ბაიერის“ პრეზიდენტმა  
ფრანც ბეკენბაუერმა გერმანული გამოცემა „კიკერისთვის“  
მიცემულ ინტერვიუში.  
ვინ გახდება გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი?  
ვინ დაიკავებს ერის რიბეკის ადგილს? აი, კითხვა, რომელ-  
ზე პასუხსაც მოუთმენლად ელიან გერმანიასი.



ფრანც ბეკენბაუერს კრისტოფ ლაუმი ურჩევია

„რამის შემთხვევაში მალე ვიპოვით. დრო არ ითმენს,  
სადაცაა, კარზე 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის  
შესარჩევი მატჩები მოგვადგება“ — ათი დღის წინ გერ-  
მანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის, ეგიდიუს  
ბრაუნის ამ ნათქვამმა ბევრს ისიც კი აფიქრებინა, ამთ  
რბეკის მემკვიდრე უკვე შეიგულის, თუმცა ეს რომ ასე  
არაა, ბეკენბაუერის სიტყვებიდანაც კარგად ჩანს.  
რიბეკის წასვლის შემდეგ ნაკრების გაძლიერება გერმანუ-  
ლი ფეხბურთის მამებმა ორ მწვრთნელს შესთავაზეს. მი-  
უნხენის „ბაიერის“ დამრიგებელმა ოტმარ ჰიფელდმა  
შეთავაზებული წინადადება შორს დაიჭირა. კლუბთან კონ-  
ტრაქტი ჯერაც არ დაამსრულებიათ. თითქმის ანალოგიუ-  
რი მიზეზი დაასახელა მეორე ადგილზე გასული „ლივერ-  
პულსის“ თავკაცი კრისტოფ ლაუმიც. თანაც „ლივერ-  
პულსის“ ხელმძღვანელობამაც ხმა აღიმალა, რას პქვია  
ნაკრები, ლაუმი ჩვენთან ხელშეკრულება აკავშირებს, მისი  
გამშვებები არ ვართო, თუმცა...  
„ეს პრობლემა მოგვარებულია. „ლივერპულსი“ თანახ-  
მაა, ლაუმი გუნდიდან გაუშვას. იციან, ეს გერმანულ ფე-  
ხბურთის სასიკეთოდ წაადგება. კლუბის თავმჯდომარე ლი-  
ქტორ შნაიდერსაც ვესაუბრე. ყველაფერი შეეთანხმეთ,  
მაგრამ ლაუმი ნაკრების მწვრთნელად მიჩნევა ჯერაც  
ნადარევი, კიდევ ბევრი ნიუანსია დასაზუსტებელი“ —  
ესეც „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა ბეკენ-  
ბაუერმა.  
ამასობაში კი გაირკვა, რომ არც ისე ყოფილა საქმე, რო-  
გორც დღეა პატივცემულ „კაიზერ ფრანცს“ ჰგონია. „ლივერ-  
პულსის“ სპორტული დირექტორი რუდი ფილიპი ბეკენბა-  
უერის ნათქვამმა გააბრაზა, შნაიდერს რომ შეუთანხმდა, მე და  
კლუბის პრეზიდენტს რატომ არაფერს დაგვეკითხო.  
„ლივერპულსი“ ერთსულოვანი გუნდი მგონია, უპასუ-  
ხა ფილიპის ბეკენბაუერმა.  
საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ისიც აღნი-  
შნა, სხვა კანდიდატურაზე ჯერჯერობით არც ფიქრობთ,  
რადგან დიდი იმედი გვაქვს, რომ ლაუმი დაეყოფილებოთ.  
მართალია, წარსულზე აღარფერს ამბობენ, მაგრამ ბეკე-  
ნბაუერმა რიბეკზეც ისაუბრა: „მან ვითარება არასწორად  
შეაფასა. პირველ ამოცანას, ევროპის ჩემპიონატზე მოხვე-  
დრას, ბრწყინვალედ გაართვა თავი. იქ როგორ უნდა მო-  
ქცეულიყო, ეს უფრო განსაზღვრა, იმიტომ, რომ არ იცო-

და. მას გამოცდილება აკლდა. რიბეკი იმაშიც შეცდა, რომ  
აქცენტო კვლავაც იმ ფეხბურთელებზე გააკეთა, რომლებ-  
მაც გერმანული ფეხბურთი ორი წლის წინანდელ მსოფ-  
ლიოს ჩემპიონატზე ცუდად წარმოაჩინეს. ევროპის ჩემპი-  
ონატზე ჩვენი ნაკრების ასეთი უსუსური გამოხვლა გუ-  
ნდში არსებულმა კონფლიქტურმა სიტუაციამაც გამოიწ-  
ვია. მე ვიცი, გუნდში რაც ხდებოდა, მაგრამ ვერ ჩავე-  
როდი, ამის უფლება არ მქონდა. ლითარ მათეუსმა რომ  
დამირეკა და შეთქმულების შესახებ მამცნო, ეურჩიე, რი-  
ბეკთან მისულიყო და ყველაფერი ეთქვა. როგორც ჩანს,  
მან ჩემი რჩევა ყურად არ იღო და რიბეკს ყველაფერი  
ჯვერუერი ტურნირის შემდეგ გაუხხილა“.

ასეა თუ ისე, გერმანიის ნაკრები უმწვრთნელიადა.  
ნაკრები შესაჭვს ელის, ის კი ჯერჯერობით არ ჩანს.  
მიზეზი? — გერმანული ფეხბურთის არცთუ ნათელი მო-  
მავალი. გერმანულ ფეხბურთში ნათელ პერსპექტივას  
ვერავენ ხელავს და ამას უკვე აღარც თვით ფრანც ბეკე-  
ნბაუერი უარყოფს. „ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ძნე-  
ლი გამოცდა უნდა ჩააბაროს, კრიტიკის ქარცეცხლსაც  
ვერ გადაურჩება. ძნელია, ძალიან ძნელია ახლა გერმა-  
ნიის ნაკრების თავკაცობა“ — აღიარა „კაიზერ ფრან-  
ცმა“.  
წუხელ კი გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გადაწყვე-  
ტილება მიიღო: „კეირას, კავშირის მუშაკთა რეგარემუ-  
სხრომას მოვიწვევთ, ნაკრების ახალ თავკაცსაც მაშინ  
დავინიშნავთ. ყველაზე რეალური კანდიდატი ლვერპულსუ-  
ნის „ბაიერის“ მწვრთნელი კრისტოფ ლაუმი“.

ინგლისის პრემიერლიგაში ახლგადასული „იფსვიჩი“ მეკარე რიჩარდ  
რაიტს ჰყიდის, რადგან ფეხბურთელმა კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა.  
„რიჩარდ რაიტთან და მის აგენტთან ვერ შევთანხმდით, ფეხბურთელთან კონტ-  
რაქტი ვერ გავაფორმეთ. მეკარეს, ალბათ ვაკვიდით“ — განაცხადა „იფსვიჩის“  
თავმჯდომარე დევიდ შიპერსმანმა. რაიტს, რომელიც კევინ კიანამ ვერო 2000-  
ზე მესამე მეკარედ წაიყვანა, კლუბთან კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უსრუ-  
ლდება, თუმცა ალბათ გუნდს მანამდე დატოვებს. მეკარის დებუტა ინგლისის  
ნაკრებში ერთი თვის წინ, მალტასთან ამხანაგურ მატჩში შედგა.  
იტალიის სერია A-დან გავარდნილი „კალიარის“ მცველი ფე-  
ბიო მახელარი, შესაძლოა „ინტერში“ გადავიდეს. ფეხბურთელის  
შექმენის სურველი მილანურმა გრანდმა გამოთქვა. მარჩელო ლი-  
პი მკიდევ რამდენიმე მოთამაშეს დაადგა თვალის და იქნებ მალე  
დაიყოლიოს კიდევ. გამოცდილ სპეციალისტს „ნაპოლის“ ნახევარ-  
მწვრთნელს ანსელო რობიატი და რეჯინელი ბრუნო ჩირილი მოს-  
წონებია. იტალიური სააგენტოების ცნობით, „ინტერში“, შესაძ-  
ლოა ლუჩანო ბაურიც გადავიდეს. მილანელები „ატლანტას“ ნა-  
ხევარმცველის სანაცვლოდ 3 მილიონ გირვანქს სთავაზობენ.

შრანბი ნახევარმცველი ოსმან დაბო მალე, ალბათ სერია A-ს დატოვებს  
და სამშობლოში დაბრუნდება. 23 წლის ფეხბურთელმა, რომელიც უკვე „პა-  
რმასა“ და „ინტერში“ მოასწრო თამაში, „მონაკოსთან“ წინასწარი შეთანხმება  
გააფორმა და ალბათ, ამ გუნდში ჩაირიცხება. „მონაკოს“ თავკაცი კლოდ პუ-  
ელი საბრი ლაშუშის შემცვლელს, ეძებს, რომელიც სულ მალე ალბათ „პარმა-  
ში“ გადავა.

იუმოსლავილი ფორვარდის, სავო მილოშევიჩის შექმნა მა-  
დრიდის „რეალს“ სურს. სამეფო კლუბს კი „ფორენტინა“ ეცი-  
ლებს, რომელიც ვერო 2000-ის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდ-  
ირის ფლორენციაში გადაყვანას ლამობს. ჯერჯერობით არაფერს იცის,  
რამდენს სთავაზობენ მადრიდელი და ფლორენციელი კლუბები  
„სარაგოსას“. ამ კლუბის კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, პავო ხემენსმა  
ახალი კონტრაქტი გააფორმა. ესპანეთის ნაკრების მცველი „სა-  
რაგოსაში“ კიდევ ხუთ წელიწადს დარჩება. პავო შექმნა ბერძნულ  
„ოლიმპიკოსის“ სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

მსპანეთის ნაკრებისა და სანტანდერის „რასინგის“ თავდამსხმელის, პე-  
დრო მუნჩისის შექმნა „ინტერს“ სურს, თუმცა 25 წლის ფეხბურთელს სხვა  
ევროპულმა გრანდებმაც დაადგეს თვალი. ყველაზე ხშირად „ბარსელონის“,  
„დებორტოს“, „ვალენსიას“ და „რეალს“ ასახელებენ. თავად ფეხბურთელმა  
აღრე, როცა მადრიდელმა კლუბმა წინადადება შესთავაზა, განაცხადა: „მე, რეა-  
ლისში“ თამაშზე ვოცნებობ. ჩემმა მეგობარმა ივან ელგერამ მიჩრია, ჯერჯერო-  
ბით იტალიაში არ გადავიდე“.

ბერძნული სააგენტოების ცნობით, თომას ჰელმერი „სანდერ-  
ლენდში“ თამაშით უკმაყოფილოა და „ჰერტაში“ დაბრუნებას აპირებს.  
35 წლის ფეხბურთელი პრემიერლიგაში განათხოვრებით თამაშო-  
ბდა, მაგრამ გუნდს ვერ მოეწონა. ერთმა ხანგრძლივი პერიოდი  
ტრავმის გამო გამოტოვა. ბერლინური კლუბი ჰელმერს ალბათ,  
მალე დაიბრუნებს.

ბელარუსის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად ელუარდ მლოფევი  
დაინიშნა. ამის შესახებ „სპორტიველი“ უკვე წერდა, თუმცა მლოფევი ცოლის  
საბოლოო პასუხს ელოდა. ბოლოს მუელე დინას მოლაპარაკა და ამ ქვეყნის  
ფეხბურთის მამებს გადაჭრით უპასუხა — მხად ვარ. მლოფევი მინსკში 2  
ივლისს ჩავა და საქმეს შეუდგება.

მსპანურ „რეალში“ 23 ივლისს პრეზიდენტის არჩევნებია. ამჟა-  
მინდელ მმართველ ლორენსო სანს პოსტს ფლორენცინო ბერესი  
ედავება. ამ უკანასკნელის თქმით, სამეფო კლუბს ამჟამად ერთობ  
დიდი გალი აქვს, დაახლოებით 250 მილიონი დოლარი. აღრე ს-  
ანსმა განაცხადა, რომ მის კლუბს კრედიტორების 110 მილიონი დოლარი  
მართებს. სანს ფეხბურთელების ინტენსიური ყიდვა-გაყიდვის გიმოც  
აკრიტიკებენ: მისი ხუთწლიანი ხელმძღვანელობის დროს გუნდში  
52 ფეხბურთელი შეიცვალა. სანსა და ბერესს შორის გამარჯვე-  
ბული 23 ივლისს გაირჩევა. არჩევნებში „რეალის“ ქომაგთა კლუ-  
ბის 66 თასი წევრი მიიღებს მონაწილეობას.

ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი,  
მეკარე ფაბიენ ბარტეზი რომ დაიგულა, ახლა რომის „ლაციოს“ ჩეზი ნახევარ-  
მცველით, პაველ ნედვედით დაინტერესდა. რომაული კლუბის პრეზიდენტ სერ-  
ჯიო კრანოციის „მანისუს“ თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი დაუკავშირა და  
ნედვედზე ჩამოვადო სიტყვა — იქნებ პაველი 30 მილიონ გირვანქად დავეთ-  
მოთო. კრანოციც ერთხანს დაფიქრა, მერე კი ფერგიუსონს უპასუხა, ნედვე-  
დი უფრო მეტი ვფიქრობო. რას იზამს „მანჩესტერი“, ჯერჯერობით უცნობია.  
ერთი ფაქტია, ნედვედი 30 მილიონად შეაფასეს.

ავსტრიის სუპერთასის მატჩში ჩემპიონმა, ინსბრუკის „ტიროლმა“  
თასის მფლობელ „გრაჯკურთან“ 0:2 წააგო. გამარჯვებულთაგან ბუ-  
რთები სლოვენელმა აღემ ჩეპმა და ნიგერიელმა ბენედიქტ აფუემგებუმ  
გაიტანეს.

**პირველად საქართველოში!**

**RADIO VRIKA**  
100.3 FM

რადიო „მერაქა“ ბთბაგზობთ  
პროექტს „მერო 2000“

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის  
ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

**გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“**

**რეკლამა სარბიელ-ში**  
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



# სარბიელი

# ბათაბაშების წესები

## სკორბული ლატარია "CROCO"

**კროკოს ბიზნესი კროკოს ნაპირების მათხების ღირებულების გადართვით**  
**იუშუავენს (როდნ თამაშები არ ტარდება — ნაშუაგობი პანრიპი)**

ევროპის ჩემპიონატი. ფინალი				
2 ივლისი				
031	საფრანგეთი — იტალია	2,3	3,0	2,7
ინტერტოტო. II ეტაპი. I მატჩები				
1 ივლისი				
001	ბლზანი (ჩეხეთი)-მოგილიოვი (ბელარუსი)	1,35	3,8	7,0
002	ტატაბანია (უნგრეთი)-ციბალია (ხორვატია)	2,1	2,9	3,2
003	ნეა სალამინა (კვიპროსი)-აუსტრია (ავსტრია)	2,5	2,9	2,5
004	ზენიტი (რუსეთი)-პრიმორიე (სლოვენია)	1,35	3,8	7,0
005	სტაბეკი (ნორვეგია)-ოსერო (საფრანგეთი)	3,0	2,9	2,2
006	ქსამაქსი (შევიცარია)-შტუტგარტი (გერმანია)	3,0	2,9	2,2
007	უნისპორტი (მოლდოვა)-ზალცბურგი (ავსტრია)	3,0	2,9	2,2
008	ზაგლეზე (პოლონეთი)-სლავენი (ხორვატია)	2,0	2,9	3,4
009	პელისტერი (მარკეზონა)-ფრიოლუნდა (შვედეთი)	2,4	2,9	2,6
010	ლინციერი (ავსტრია)-დეკლა (ჩეხეთი)	1,8	2,9	4,2
011	სედანი (საფრანგეთი)-დეიფტური (ისლანდია)	1,15	5,6	10,0
012	პერუჯა (იტალია)-სტანდარდი (ბელგია) ნეიტრალურზე	1,3	4,0	7,5
013	მალიორკა (ესპანეთი)-ჩაკლაული (რუმინეთი)	1,2	5,0	9,0
2 ივლისი				
014	ატლანტასი (ლიტვა)-ბრედფორდი (ინგლისი)	3,0	3,0	2,0
015	დინაბურგი (ლატვია)-ოლბორგი (დანია)	2,8	2,9	2,3
016	ველბაჟი (ბულგარეთი)-სიგმა (ჩეხეთი)	2,3	2,9	2,8
ნორვეგია. მე-11 ტური				
2 ივლისი				
017	პაუკესუნდი-ბრანი	4,0	3,3	1,65
018	მოლდე-მოსი	1,5	3,4	5,6
019	ოდ გრენლანდი-ბოდო გლ.	1,8	3,1	3,8
020	რუსენბორგი-ვოლერენგა	1,2	5,0	9,0
021	სტარტი-ტრომსიო	2,4	3,3	2,3
022	ვიკინგი-ბრინი	1,3	4,0	7,0

I ტაიმი/ძირითადი დრო										
		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
2.07	23.00 081 საფრანგეთი-იტალია	3,3	8,0	22,0	4,5	4,2	5,2	20,0	8,0	4,0
დამატებით დროში გაიმარჯვებს		პენალტების სერიით გაიმარჯვებს								
02.07	23.00 901 საფრანგეთი	5,0	02.07	23.00 901 საფრანგეთი	8,0					
იტალია		5,0	იტალია		8,0					

ჩემპიონი					
2 ივლისი (23.00)					
101	საფრანგეთი	1,6	101	იტალია	2,0

**კროკოს ბიზნესი მისამართები:**  
**მთლიანში —** ფურცელის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველი“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტა-მტი აღმამუცხელების გამზირზე; გლდანი, სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 1-1 მეკორრაიონი, პირველი კვარტალი და

**ახალი ბიზნესი: ვაჭა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)**

**ქუთაისში —** პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.  
**ბათუმში —** ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.  
**ბორჯომში —** სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.  
**თელავში —** კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთაველი სახელმწიფო ბიზნეს უმუშაო კვლავ მუშაობს „კროკოს“**  
**განახლებული ბიზნესი. მისამართი: შარტაპას 7.**

**დასაშვებია მხოლოდ ის გადამრეგულირებები, რომლებიც მითითებულია სიაში**  
**არასწორი გადამრეგულირების, დარღვების პროვოცირების შემთხვევაში, რომლის**  
**კოეფიციენტის ნამრავლიც მეტიც**

**გადამრეგულირება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც წესით არის მითითებული**  
**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ**

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყენოს ტირაჟში მოცემული სკორტული შეჯიბრების შედეგი, სკორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელი“ სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დაახუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიყენოს ვარიანტი ალნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთოდის სიზუსტით, დამრეგულირების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით. ფსონების ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია. კოეფიციენტები მრავალჯერად მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროვოციაციისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლელად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროვოცირება, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკოს“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:  
1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;  
2. შეიკვალა მასპინძელი გუნდი (ორმატრიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწაზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;  
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);  
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული საიმი დღის ვადაში;  
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;  
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთი შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება. თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიკვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატრიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროვოცირებზე. ფსონის მინიმალური ოდენობა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეიცვას გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან ნითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპიუტერული და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, იესება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკოს“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკოს“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიყოს სამი სამუშაო დღის დავაინებდით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღებებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკოს“-ს შიდაგანაცხებით დადგენილი წესების მიხედვით. მოთამაშის მონაწილეობა „კროკოს“-ს მიერ წარმომებულ ლატარიაში ნიშნავს, რომ იგი ვაცნობილია გათამაშების წესებს და თანხმება, ითამაშოს არსებული წესებით.



# პირველი ნომერი სრულად დაიკარა უსსოელები ლიგას გაუზინაურდნენ

2000 წლის დრაფტი გაიმართა და თან გაიყოლა ქართველთა იმედები, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაცი-აში კიდევ ერთი თვისტომი ეხილათ. წინასაღწიხლო სიბრძნეში შეტანილი დავით მუშუქიანი დრაფტში არჩეულთა მიღმა დარჩა. ეს ნიშნავს, რომ მომავალ სეზონს იგი ევროპაში გაატარებს, ხოლო ოკეანის გაღმა ქართველთა ერთადერთ წარმომადგენლად, სულ მცირე ერთი წლით, კვლავ „სიეტლ სუპერსონიქსის“ ცენტრი ვლადიმერ სტეფანია რჩება.



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარს დევიდ შტერნი და დრაფტის მეორე ნომერი, „ვანკუვერ გრizzlies“ რჩეული სტრომილ სეიფტი

მინეაპოლისში გამართულმა დრაფტმა ერთი რეკორდი უკვე მოხსნა: აქამდე ლიგის გუნდებს ამდენი უცხოელი მოთამაშე არ აუყვანიათ. 14 უცხოელმელიდან ცხრა ევროპელია, სამი — აფრიკელი, თითო — ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის წარმომადგენელი. 1999 წლის დრაფტში 9 უცხოელი აირჩიეს. ამდენივე კალათბურთელს დაადგეს თვალი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდებმა 1998 წლის დრაფტში. მაშინ რჩეულთა შორის ვლადიმერ სტეფანიაც იყო. 1997 წლის მარეგულირებელი კი აქამდე სარეკორდო იყო, მაშინ თორმეტმა უცხოელმა მთავარი ლიგის გუნდების მაისურა. თუმცა, იმ წელს არჩეულებიდან უცხოელებში ითვლება „სან ანტონიო სპურზის“ ლიდერი ტიმ დანკანი, რომელიც ვირჯინიის კუნძულებიდანაა. ეს გეოგრაფიული სუბიექტი კი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას წარმოადგენს.

უცხოელებს მოვლიან მთავარი დრაფტის, ახლა კი დრაფტის უმთავრეს ფიგურაზე, პირველ ნომრად ამერიკულ კალათბურთელზე ვიქტორ. შევახსენებთ, რომ პირველი არჩევანის უფლება „ნიუ ჯერსი ნეთსს“ ჰქონდა და მას სჭირდებოდა ცენტრი, რადგან გუნდი ამ ამბლების მოთამაშის გარეშე იყო დარჩენილი: დრაფტამდე ორი დღით ადრე ტრავმებით გატანჯულმა ჯეისონ ვილიამსმა კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. „ნეთსს“ იფიქრა, იფიქრა და ცინცინატიის უნივერსიტეტის ცენტრი, 205-სანტიმეტრის კენიონ მარტინი აიყვანა.

სამბრებში დიდ გეგმებს ვისახავთ. გუნდი ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული, სხვა მოთამაშეებსაც დავადგით თვალი და ვეცდებით, საწადელს მივადლოთ. ჩემპიონატიუსთვის მზადებას კი პირველი ავგისტლიდან შეუდგებიან — გეიონხრა საუბრის დასასრულს ნუგზარ მარკიოშვილი.

რატომ ფიქრობდა „ნიუ ჯერსი“ იმეტი, რომ არცთუ დიდი ხნის წინ მარტინმა ფეხი მოიტეხა და საბოლოოდ ჯერ არ გამოჯანმრთლებულა. მიუხედავად ამისა, მარტინი მანკე „ნეთსსა“, ხოლო კლუბის პრეზიდენტი როდ თორნი ამბობს: „ჩვენ გამოვიკვლიეთ მარტინის ფეხი და დავრწმუნდით, რომ კალათბურთელი ცოტა ხანში სრულიად ჯანმრთელი იქნება“.

2000 წლის დრაფტში ამერიკულ ევროპელთაგან ფიხიკურად ყველაზე კარგად ხორვატი დალიბორ ბაგარიჩა მზად. 213-სანტიმეტრის ცენტრს ლიგაში სათამაშოდ ყველა მონაცემი აქვს, მხოლოდ გამოცდილების შექმნა სჭირდება. ბაგარიჩი „ჩიკაგო ბულზს“ აიყვანა 24-ე ნომრად, აქამდე იგი სამშობლოში თამაშობდა, ჯერ „ციბონაში“, მერე კი „ბენსტონში“.


ბოლო სტუდენტურ სეზონში მარტინმა ცინცინატიის უნივერსიტეტს მატჩში საშუალოდ 18,9 ქულა და 9,7 მოხსნა მოუტანა. „ნიუ ჯერსიში“ ვარაუდობენ, რომ ახალბედა ძირითადად მოხსნებზე იმუშავებს და დაცვას გაამდიერებს. მარტინმა ცრემლები ვერ შეიკავა, როცა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა დევიდ შტერნმა პირველად მისი გვარი გამოაცხადა. აცრემლებულმა ამგვარი კომენტარი გააკეთა: „რაც მოხდა, იმის არ მეურა. ვეცდები, „ნეთსს“ ნღობა გავუმართლო და პირველ ნომრად ამორჩევით მონიჭებული სიხარული კარგი თამაშით გადავუხადო“.

ელენდენ, რომ ბერძენ აკოვოს ცაკალიდის პირველ ათ კალათბურთელში აირჩევდნენ, მაგრამ ათენის აეკის ცენტრი მხოლოდ 25-ე ნომერს დასჯერდა. ცაკალიდისთვის „ფინიქს სანსი“ დაინტერესდა. „ინდიანა პეინერსმა“ კი 27-ე ნომრად სლოვენელი, ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ფორვარდი პრიმოზ ბრეკევი აირჩია. სხვათა შორის, 1998 წლის დრაფტის 27-ე ნომერი ასევე „ოლიმპიას“ წევრი, ოლონდ ქართველი ვლადიმერ სტეფანია იყო.



თურქი პიდიეთ თურქოლლუ „საყრამენტო კინგზმა“ აიყვანა

დრაფტის მეორე წრეში ორი ევროპელი უკანასახელის გვარი გვხვდება. „იუგოსლავიელი მარკო იარიჩი „კლიპერსმა“ 30-ე ნომრად აიყვანა, ხოლო ხორვატი იოსიპ სესარი 47-ე ნომრად — „სიეტლ სუპერსონიქსმა“. ნაკლებსავარაუდოა, რომ მათ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშონ. მათი კლუბები ალბათ, ნაცად ზერხს მიმართავენ — მოთამაშეებს დაისაკუთრებენ და მერე ევროპაში გაანათხოვრებენ.



ირაკლი ბერიშვილი



დავით ბერიშვილი

## ქორქია და ტყუპები: იჩითას და აქეთას

საკალათბურთო კლუბებში დარჩეული ხმები, თსუ დიშალა და მეთექვსმეტე ჩემპიონატი აღარ ითამაშებსო, გადარჩებულნი აღმოჩნდა, თუმცა მთავარმა მწვერვალმა ნოდარ ქორქიამ რომ კლუბი დატოვა, ნაღია. იგი სეზონის დამთავრებისთანავე გაეცალა თსუს, რაც, როგორც ჩანს, კლუბის წარუმატებლობით იყო განპირობებული — ჯერ კიდევ მერვე გათამაშებაში ბრინჯაოს მედიზელი თსუ მეცხრე ეროვნულში მუშეიდე ადგილზე გავიდა და ერთბაშად სამი საფეხურით დაქვეითდა.

ფორმდა. ახალ სეზონში უნივერსიტეტული ღირსებას დაცვავენ ტყუბი ძმები, ირაკლი და დავით ბერიშვილები, რომლებიც შარშან „მაკაბიში“ გამოდიოდნენ. სტუდენტებმა მოლაპარაკება აწარმოეს სდასულ შოთა მაცხარაძისთან და ეს საკითხიც დადებითად გადაწყვიტეს, თსუს რიგებში ითამაშებს ექს-ჩემპიონ „ვიტას“ ცენტრი გულივერ ახალკაციც.

„სამომავლოდ დიდ გეგმებს ვისახავთ. გუნდი ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული, სხვა მოთამაშეებსაც დავადგით თვალი და ვეცდებით, საწადელს მივადლოთ. ჩემპიონატიუსთვის მზადებას კი პირველი ავგისტლიდან შეუდგებიან — გეიონხრა საუბრის დასასრულს ნუგზარ მარკიოშვილი.“

## ბაბიაშვილს „ბე კივესიგან“ ათი პროცენტით აშორებს. მარკიოშვილს?



ზვიად ბაბიაშვილი

უკრაინული „ბე კივეი“ დიდი ტრადიციის გუნდი სულაც არ გახლავთ, მა და პე, წელიწადი თუა, რაც ჩამოყალიბდა, მაგრამ მოასწრო და კალათბურთის ქართველ გულშემატკივართ თავი მწარედ დაგვამასოვრა. ეს ის „ბე კივეი“ გახლავთ, რომელიც შარშან ჩემპიონურ „ზოტს“ გადაეყარა კორაჩის თასის პირველივე წრეში და აქედ და იქაც სასტიკად გაუსწორდა.

საქმე ისაა, რომ ამ კლუბში ვასინჯვავზე იმყოფება რუსთავის „აზოტის“ თავდამსხმელი ზვიად ბაბიაშვილი. იგი ორშაბათს ჩავიდა კივეში და რამდენჯერმე გუნდთან ერთადაც ივარჯიშა. ქართველის გარჯით კვალოფილი დარჩინა „ბე კივეის“ მთავარი მწვერთელი ალექსანდრ კოვალენკო და როგორც შეეიტყვეთ, მისი დატოვებაც განუზრახავს. თავად ბაბიაშვილსაც დაურევავს თბილისში და შინაურებისთვის უთქვამს, ოთხმოცდაათი პროცენტით კივეში ვრჩები.

ზვიად ბაბიაშვილის გზას კიდევ ერთი ქართველი დაადგა. გუშინ თსუელი გიორგი მარკიოშვილიც გაემგზავრა უკრაინას, რომელიც თვისტომის მსგავსად სწორედ „ბე კივეს“ უნდა გაესწროს. მაგრამ ამერიკელ მენეჯერს გაუზრახავს ეს ვარიანტი გიორგისთვის და იმედით მიუცია, კოვალენკოს მიუწონებო.


ჩვენებურთა საკითხი სულ მალე გაიკვლევა. ექვს ივლისს „ბე კივეი“ ამერიკაში მიემგზავრება შეკრებაზე და კოვალენკოც არჩევანის წინაშე დადგება. თუ მწვერთელმა ოკეანის გაღმა ქართველებიც იახლა, გამოდის, უქმად არ დაუკარგავთ დრო ბაბიაშვილსა და მარკიოშვილს.

ცნობისათვის: „ბე კივემა“, ჩვენი „ბასკოსი“ არ იყოს, სადებიუტო სეზონშივე ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ფინალში კივეებმა „ბეკ ოდესას“ სძლიეს, რომლის ღირსებასაც, მოგეხსენებათ, ქართველი რევაზ ჩხეიძე იცავდა. ჩხეიძემდე კიდევ ორი ჩვენებურს — ლევან ქარაბაკსა და ირაკლი მაისურაძეს უთამაშა უკრაინულ ჩემპიონატში. ისინი ბელაია ცერკოვის „ნეფტოხიზმავალიში“ გამოდიოდნენ.

უკვე წასული ამბავა და თითქოს რა გასახსენებელიც იყო, მაგრამ ეს იმიტომ დაგვჭირდა, რომ შესაძლებელია, სულ მალე სწორედ „ბე კივეის“ ქომაგებიც გავხლეთ.

**ბიორბი ბიკაფილი**


REUTERS მინეაპოლისიდან



„ტურის“ რუკა



იან ულრიხი და ჯუზეპე გერინი ფუტუროსკოპის უახლეს კინოდარბაზში



# ტურის პელოტონი აღმოსავლეთის ექსპრესში

## 138 კილომეტრი ეიფელის კოშკიდან ტრიუმფის თაღამდე

საუბუნის უკანასკნელი „ტურ დე ფრანსი“, რომელიც დღეს იწყება, თანამედროვეცა და ამავდროულად ტრადიციულიც. თანამედროვე იმიტომ, რომ დროს ფენს კარგად უწყობს, ბევრ სიანხლეს სთავაზობს მრბოლელებსა და ელოპორტის მოყვარულებს. თითქმის ყოველწლიურად და ამჯერადაც „ტურის“ პელოტონი ისეთ ადგილებსაც ესტუმრება, მანამდე რომ „ბორბალი არ დაუღვამს“. თუმცა ტრადიციების დაცვითაც არ შეიძლება და „ტურიც“ თავისი მთავარი მიმართულებების ერთგული რჩება — მთიანი მხარეების დალაშქრება და ისტორიული ეტაპების გამოტარება მოგახსენიებს. ობისკის უღელტეხილი (X ეტაპი) პირველად 1910 წელს გადალახეს მრბოლელებმა, გალიბის (XV ეტაპი) კი მომდევნო წელს ესტუმრნენ. ამ ზაფხულსაც ამ ორ სიანხლეს ერთ-ერთი მთავარი როლი მიენიჭება საბოლოო რჩეულის გამოვლენაში. აღმართში განლაგებული ფინიში კი „ტურ 2000“-ზე ასეთი მთების — ოტაკამისა (X ეტაპი), რომელიც ობისკისა და გალიბის მსგავსად უმაღლესი კატეგორიის სიბნელისა და კურმეების (XV ეტაპი). ალბათ, სწორედ ამ ორ ეტაპზე გადაწყდება კიდევ გამარჯვებულის ბედი.

მთათა მასივების გავლის რიგით უწინდებურად — ჯერ პირინეები, შემდეგ კი ალპები, ანუ ჩვეულებრივად „ტურის“ პელოტონი საათის ისრის მიმართულებით იმოძრაობს. აღსანიშნავია ორი ეტაპის დაბრუნება — მონ-ვანტუსა და ბრიანსონის. ვანტუ პირველად 1951 წელს დაიპყრო „ტურმა“. „ქარიშხლების უღელტეხილამდე“ გზა მეტად კონტრასტულია, ულამაზესი პეიზაჟები ცვლის ერთმანეთს, ტყეები, ქვითა უდაბნოები, თოვლიანი მწვერვალები... ბოლოს აქ 1987 წელს ასულან მრბოლედი. ეს ეტაპი ისეთ გრანდებს მოუვიათ, როგორებიც შარლი გოლი (1958 წ.), რეინო პულიდორი (1965), ედი მერქსი (1970) და ბერნარ ტეჟევე (1972) არიან.

ბრიანსონის გამოჩენა კი ნამდვილად


დაგვიანდა, მაგრამ სჯობს გვიანო, ხომ გაგვიგონიათ. ყველაზე მაღალ ალპურ ქალაქამდე სპორტსმენებს სამი უღელტეხილის დაძლევა უწყევთ — ალოსი, ვარის და იზორის. ეს ისტორიული მარშრუტი ბოლოს ნახევარი საუკუნის წინ გაიარეს „ტურის“ მონაწილეებმა (1949 წ.), აქ პირველობით ლევენდარულ მრბოლებს — ჯინო ბარტალის, ფაუსტო კოპის და ლუიზონ ბობეს გახსენიათ გზა საბოლოო გამარჯვებისკენ. ისე, წლევას ბრიანსონში უკვე იყო ორი შეჯიბრის, „ჯიროსა“ და „ალოფინეს“ ეტაპების ფინიში. პირველად მარკო პანტანიმ, მეორედ კი ლენს არმსტრონგმა დაამტკიცეს თავისი სიძლიერე, თუმცა მათ გამარჯვება არ მოუპოვებიათ, ორივემ თავისი გრეგარებს (გარბელის და ჰაიმელტონის) გაუწიოდა დახმარების ხელი.

კიდევ ერთი „ისტორიული სიახლე“. ხუთწლიანი შესვენების შემდეგ გუნდური რბოლა დაბრუნდა. იგი ნანატრსა და სენ-ნაზერს შორის გაიმართება. თითოეული გუნდი სტარტს ცალ-ცალკე აიღებს და მის ყველა წევრსაც ერთნაირი დრო დაეწერება. აქ წარმატების კარგი შანსი აქვთ „პოსტალს“, „ტელეკომს“ და განსაკუთრებით „ონსეს“, რომლებშიც ინდივიდუალური რბოლების ბევრი სპეციალისტია. ეს ეტაპი ნათელია, რომ საეზატეცილო ველოკლერიბოლა ინდივიდუალური სპორტია, რომელსაც გუნდურად მისდევენ.


შეჯიბრის ბოლოს პელოტონი ჩვეულებრივ პარიზში ჩქარი მატარებლით, ევრეთ წოდებული TGV-ით ჩადის, უკანასკნელ ეტაპს საფრანგეთის დედაქალაქის მიდამოებში იწყებს და ელისეის მიწებზე უმთავრეს ხოლმე წლეულს აქაც სიახლეა. TGV-ს ლეგენდარული მატარებელი „აღმოსავლეთის ექსპრესი“ შეცვლის. 21-ე ეტაპი კი, რომელიც 138 კილომეტრს შეადგენს, ეიფელის კოშკთან დაიწყება და ტრიუმფის თაღთან (ტრადიციულად) დასრულდება. ვინც პარიზს იცნობს, განცვიფრდება, ამ ორ ლიონსანიშნობას

შორის ამხელა მანძილი როგორ იქნებაო (ისე, ამის მისახვედრად პარიზის ცნობა საკვირო არცაა, საკმარისია, ოდნავ იაზროვნო, ამიტომაც მკითხველის დასამშვიდებლად ვიტყვი, რომ სპორტსმენები პარიზს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ სამჯერ გაივლიან, გზად მათ იენას ხიდი, ლუერის მუზეუმი, ბასტილიისა და ნაისონის მოედნები და სხვა კარგ-კარგი ადგილები შეხვდებიან. ბოლოს კი ელისეის მიწებზე შეკრებულ მყურებულს პელოტონი რვაჯერ ჩაუკროლებს, სანამ ტრიუმფის თაღთან ფინიშის ზაზს გადაკეთს.

### ბაიოჯ თაღაბამდე



ლენს არმსტრონგმა უკვე დაიწყო ავტოგრაფების დარიგება



ონსელეების რამეტეცია პირველი ეტაპის გზაზე

„ტურის“ ეტაპები				
1	ივლისი I ეტაპი	ინდ რბოლა	ფუტუროსკოპი	16,5 კმ
2	ივლისი II ეტაპი	ფუტუროსკოპი	— ლუნდენი	194 კმ
3	ივლისი III ეტაპი	ლუნდენი	— ნანტი	161,5 კმ
4	ივლისი IV ეტაპი	გუნდური რბოლა	ნანტი — სენ-ნაზერი	70 კმ
5	ივლისი V ეტაპი	ვანი	— ვიტრე	202 კმ
6	ივლისი VI ეტაპი	ვიტრე	— ტური	198,5 კმ
7	ივლისი VII ეტაპი	ტური	— ლიმიუჟი	205,5 კმ
8	ივლისი VIII ეტაპი	ლიმიუჟი	— ვინფეგსიურლო	203,5 კმ
9	ივლისი IX ეტაპი	აიანი	— დაქსი	181 კმ
10	ივლისი X ეტაპი	დაქსი	— ლურდ ოტაკამი	205 კმ
11	ივლისი XI ეტაპი	ბანფერდუბიგორი	— რეველი	218,5 კმ
12 ივლისი დასვენების დღე				
13	ივლისი XII ეტაპი	კარბანტრა	— მონ-ვანტუ	149 კმ
14	ივლისი XIII ეტაპი	ავინიონი	— დრაგინიანი	185,5 კმ
15	ივლისი XIV ეტაპი	დრაგინიანი	— ბრიანსონი	249,5 კმ
16	ივლისი XV ეტაპი	ბრიანსონი	— კურშეველი	173,5 კმ
17 ივლისი დასვენების დღე				
18	ივლისი XVI ეტაპი	კურშეველი	— მორზინი	196,5 კმ
19	ივლისი XVII ეტაპი	ვეიან-ლეზენი	— ლოზანა (შვეიცარია)	155 კმ
20	ივლისი XVIII ეტაპი	ლოზანა	— ფრაბურგი (გერმანია)	246,5 კმ
21	ივლისი XIX ეტაპი	ინდ რბოლა	ფრაბურგი — მილუზი	58,5 კმ
22	ივლისი XX ეტაპი	ბელფორი	— ტრუა	254,5 კმ
23	ივლისი XXI ეტაპი	პარიზი. ეიფელის კოშკი	— ელისეის მიწებზე	138 კმ

## «ტურის» გუნდები და შამადანელობები

**კოსტალი (აშშ)**  
ლენს არმსტრონგი (აშშ), ფრენკი ვანდერუი (აშშ), ვიანესლავ ციმოვი (რუსეთი), ტილდორ შამილტონი (აშშ), ჯორჯ ბინკევი (აშშ), ბენუა ფუაკიმი (ლუქსემბურგი), სტივენ კარგარდი (ნორვეგია), კევინ ლივინგსტონი (აშშ), სედრიკ ვასერი (საფრანგეთი)

**ბანესტო (ესპანეთი)**  
ალექს ცულე (შვეიცარია), ხოსე ლუის არიეტა (ესპანეთი), დარიუს ბარანოვსკი (პოლონეთი), ვინსენტ გარსია-აკოსტა (ესპანეთი), ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი), ფრანსისკო მანსუბო (ესპანეთი), ხონ ოდრიოსოლა (ესპანეთი), ლეონარდო პიგიოლი (იტალია), ორლანდო როდრიგესი (პორტუგალია)

**კემეი (ესპანეთი)**  
ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი), სანტიაგო პოტერიო (კოლუმბია), კარლოს კონტრერასი (კოლუმბია), რობერტო ერასი (ესპანეთი), ფრანსისკო ლეონი (ესპანეთი), ხავიერ ოჩოა (ესპანეთი), ხავიერ პასკუალ ლორენტი (ესპანეთი), ანტონიო ტაულებრი (ესპანეთი), ხოსე ანხელ ვიდალი (ესპანეთი)

**პაპეი (იტალია)**  
მიკელ ბარტოლი (იტალია), მანუელ ბელტრანი (ესპანეთი), პოლო ბეტინი (იტალია), ჩენ მაკერი (აშშ), დანიელ ნარდელი (იტალია), ფრედ როდრიგესი (აშშ), ტომ სტივულისი (ბელგია), მაქს ვან ჰესვიკი (ჰოლანდია), სტიფანო ძანიჩი (იტალია)

**რაპობანკი (ჰოლანდია)**  
მიკელ ბოგერდი (ჰოლანდია), იან ბოგენი (ჰოლანდია), ერვი დევერი (ჰოლანდია), მარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია), მარკ ლომი (ჰოლანდია), გრიშა ნიერმანი (გერმანია), ლეონ ვან ბონი (ჰოლანდია), მარკ ვაუტერსი (ბელგია), მარკუს ზებერგი (შვეიცარია)

**ოუსე (ესპანეთი)**  
ლორან ფალაბერი (საფრანგეთი), დავიდ კანადა (ესპანეთი), დავიდ ერტერია (ესპანეთი), ივან გუტიერესი (ესპანეთი), ნიკოლა ფალაბერი (საფრანგეთი), მუტერ ლუტენბერგერი (ავსტრია), აბრაამ ოლანო (ესპანეთი), ანგელ მიგელ პენია (ესპანეთი), მარკო სერანო (ესპანეთი)

**ტელეკომი (გერმანია)**  
იან ულრიხი (გერმანია), უდი ბოლტსი (გერმანია), ალბერტო ელი (იტალია), ჯან მატეო ფანინი (იტალია), ჯუზეპე გერინი (იტალია), იენს ჰენზერი (გერმანია), ალექსანდრე ვინოკოვოვი (ყაზახეთი), შტივენ ვუბენი (გერმანია), ერვი ზაბელი (გერმანია)

**მერკატონა უნი (იტალია)**  
მარკო პანტანი (იტალია), სიმონ ბოგერეი (იტალია), ერმანო ბრინიოლი (იტალია), ფაბიო ფონტანელი (იტალია), რიკარდო ფორკონი (იტალია), მასიმო პოდენძანი (იტალია), მარჩელო სიბონი (იტალია), მარკო ველო (იტალია), ენრიკო ძიანი (იტალია)

**კრემპანიანსი (საფრანგეთი)**  
იან კირსიბუე (ესპანეთი), კრისტოფ ანიოლუტო (საფრანგეთი), ლორი აუსი (ესპანეთი), პასკალ შანტერი (საფრანგეთი), დავიდ დელრიე (საფრანგეთი), არტურას კასაპუტისი (ლიტვა), ანდრეი კვიცილიოვი (ყაზახეთი), ფილ მენინი (საფრანგეთი), ბემუა სალმონი (საფრანგეთი)

**სამპო (იტალია)**  
ლორან დიუფო (შვეიცარია), დანიელ პატიგნა (ესპანეთი), სალვატორე კომესო (იტალია), არმინ მეიერი (შვეიცარია), მასიმოლიანო მორი (იტალია), პაველ პადრნოსი (ჩეხეთი), დარიო პიერი (იტალია), პოლო სავოლდელი (იტალია), მარიო შირეა (იტალია)

**ვუსტინა (საფრანგეთი)**  
კრისტოფ მორი (საფრანგეთი), ხოსე ბელკოვი (ესპანეთი), ანხელ კასერო (ესპანეთი), ფელიქს გარსია (ესპანეთი), ხაიმე ერნანდესი (ესპანეთი), პასკალ ლინო (საფრანგეთი), ლორან მადუა (საფრანგეთი), დავიდ პლასა (ესპანეთი), მარსელ ვუსტი (გერმანია)

**ფარმ ფრანტისი (ჰოლანდია)**  
სერჯი ივანოვი (რუსეთი), ანდრეს კლიერი (გერმანია), სერჟე ჯანენი (ჰოლანდია), იანს კორტსი (ჰოლანდია), მიშელ ლაფი (შვედეთი), გლენ მაგნუსონი (შვედეთი), რობი მაკვიენი (ავსტრალია), კოსო მორენჰოუტი (ჰოლანდია), გერტ ვან ბონდტი (ბელგია)

**კოშილინი (საფრანგეთი)**  
ფრანკ ვანდენბურგი (ბელგია), ლორან დებინი (ესპანეთი), ლორან ლეფერვი (საფრანგეთი), მასიმოლიანო ლელი (იტალია), ნიკო მატანი (ბელგია), როლან მეიერი (შვეიცარია), დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი), დავიდ მონსუტი (საფრანგეთი), კრის ბერესი (ბელგია)

**ლოტო (ბელგია)**  
რიკ ვერბრუგე (ბელგია), მარიო აერტსი (ბელგია), სერჟე ბაგე (ბელგია), სებასტიან დემარზე (ბელგია), ფაი დიურანი (საფრანგეთი), ტიერი მარინი (ბელგია), კურტ ვან დე ვოუვერი (ბელგია), პოლ ვან ჰიფტი (ბელგია), გერტ ვერპეიერი (ბელგია)

**ფრანსეზი (საფრანგეთი)**  
სტივენ ელო (საფრანგეთი), ფრედერიკ გესდონი (საფრანგეთი), გრეგორი გვაზდოვსკი (პოლონეთი), ფრანკ შოი (დანია), ქსავიერ ფანი (საფრანგეთი), ემანუელ მანინი (საფრანგეთი), კრისტოფ მანენი (საფრანგეთი), სვენ მონტგომერი (შვეიცარია), ფან-პატრიკ ნაზონი (საფრანგეთი)

**კოლტი (იტალია)**  
რიშარ ვირანკი (საფრანგეთი), ივრონ ბლილვენი (ჰოლანდია), როსანო ბრასი (იტალია), ენრიკო კასანი (იტალია), მირო კრეპალდი (იტალია), პასკალ ერვე (საფრანგეთი), რაფაელ მატეო (ესპანეთი), ფაბიო საკი (იტალია), ბარტ ვოსკამპი (ჰოლანდია)

**მემორი კარლი (დანია)**  
ბო პამპურგერი (დანია), მიკელ ბლაუფუნი (დანია), ტრისტან ჰოფმანი (ჰოლანდია), ალან იოპანსენი (დანია), ბო ლარსენი (დანია), არვის პიენსი (ლატვია), მარტინ რიტსელი (შვედეთი), მიკელ სანდსოლდი (დანია), იესპერ სკიბი (დანია)

**კრედი სპრიტოლი (საფრანგეთი)**  
ბობი ფულინი (აშშ), მაგნუს პასტედტი (შვედეთი), ფაბრის გუგო (საფრანგეთი), სე-ბასტიან ინო (საფრანგეთი), ანტონი ლანდელი (საფრანგეთი), ანტონი მორენი (საფრანგეთი), სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია), ჯონათან ვოუტერსი (აშშ), იენს ვიგტი (გერმანია)

**მინი კალდროლა (იტალია)**  
რომან ვინსტინი (ლატვია), მასიმო აპოლინი (იტალია), ჯანლუკა ბორტოლანი (იტალია), ფილიპო კასაგრანდე (იტალია), რობერტო კონტი (იტალია), ანდრეი პაუპტმანი (სლოვენია), ზორან კლემენჩიჩი (სლოვენია), მურო რადაელი (იტალია), გვი-დო ტრენტინი (იტალია)

**ბონუსური (საფრანგეთი)**  
ფან-სირილ როზენი (საფრანგეთი), ვალტერ პენეტო (საფრანგეთი), ფრანკ ბუიერი (საფრანგეთი), პასკალ დერამი (საფრანგეთი), კრისტოფ ფოდო (საფრანგეთი), დამიენ ნაზონი (საფრანგეთი), ოლივიერ პეროლი (საფრანგეთი), დიდი რუ (საფრანგეთი), ფრანსუა სიმონე (საფრანგეთი)







# რად არ ბძინავს, ბიჭუნა?

ეს რომია, იტალიელები  
მოტოციკლებს  
დააქროლებენ და დროშებს  
აფრიალებენ. „სკუადრა  
აძურა“ ფინალშია. მოიცა,  
ეს ვინ არის, მოტოციკლზე  
წინ რომ წამოსკუბებულა?  
პატარას შუალამისას  
ქუჩაში რა უნდა?! ახლა  
უნდა ეძინოს და ტკბილ  
სიზმრებს ხედავდეს. თუმცა  
არა, 1981 წლის 13 მაისს  
ბევრი ჩვენგანი მისი  
კბილა იყო და არც ჩვენ  
გვეძინა. თღონდ მამამისს  
ვთხოვ, ფრთხილად იყოს,  
ნელა იაროს და სასმელს  
არ მიეძალთ.

# მაინს დალევან

სპილენძი პოლანდიელები  
ფეხბურთის ყურებას ბარებში  
ამჯობებენ. ტელევიზორში  
კი რა ხდება? დაარტყა  
ბენალტი, გააფუჭა, მეორემ  
დაარტყა, გააფუჭა და ასე  
დაუსრულებლად. ეს გოგონა  
ბიჭები გაოგნებულნი არიან.  
ბარის მენეჯერს კი რა  
ენაღვლება, პოლანდია თუ  
მოიგება, კლიენტები  
გამარჯვების აღსანიშნავად  
დალევდნენ, ახლა კი დარდის  
ვახაქარვებლად მიეძალებიან  
მათრბელა ხითხეს. ღუდს  
და უფრო მაგარ სასმელს იქ  
დიდი ვახავალი აქვს.




REUTERS ამსტერდამიდან



# ჯერ რა იცის

სირცხმული ფრანგ დე ბურს და არა მარტო მას. ავერ  
ამ მსცოვანმა პოლანდიელმა მატჩის წინ არ დაიხარა —  
ინდიელთა ნაშუსის ქუდი დაიხურა, საიდანაც დოლიც  
იმოვა და სახეც შეიღება. ახლა კი დვას და მატჩის  
დაწყებას ელის. ტყუილად ვაისარჯე, ბიძია, ჯობდა, შინ  
დარჩენილიყავი, ამხელა დოლის თრევას ვადარჩებოდი.

# ქარბორბალა სტადიონზე



მსოფლიოს ჩემპიონატის  
შესარჩევ ეტაპზე ჩილე და  
პარაგვაი შეხვდნენ. მატჩი  
გუშინინი სანტიაგოში სწორედ  
ამ სტადიონზე შედგა. თამაშის  
წინ კი მინდვრის გარშემო  
ვერტმფრენი დაფრინავს,  
თუმც დაჯდომას არ აპირებს.  
რა უნდა? სანტიაგოში დილით  
გვარიანად იწვიდა და მოედანიც  
დაალტო. შოდა, იქაურები  
ფეხბურთელებს ნანვიმარ  
ბალახზე სირბილს როგორ  
აკადრებდნენ. ვერტმფრენი  
დაიქირავებს, ჩართო მფრინავმა  
მოტორი და ჰაერის ქარბორბა-  
ლა დაატრიალა. გაშრა მინდო-  
რი, მერე ჩილელებიც გავიდნენ  
და მეტოქე დაჯაბნეს.



# ბარბი რა, მამა...

ბაზმსტრალიელკაპულმა სორვატმა ელენა დოვინმა უიმბლდონის  
მეორე წრეში ესპანელ ვალა ლეონ ვარსიას სძლია, მაგრამ,  
ვექვობ, კარგ ხასიათზე ბრძანდებოდეს. ეს წვეროსანი მამაკაცი  
ელენას მამაა, დამირ დოვინი. სანამ მისი ქალიშვილი კორტზე  
მეტოქეს უსწორდებოდა, მამამისი წმინდა გიორგის დროშა  
ერთად შარშიც გაეწეა, ვიღაცას მუშტი უთავაზა. იმის გათვალის-  
წინებით, რომ ბატონ დამირს გვერდით პოლისმენი ამოსდგომია  
და თქმის შესადგენად მიჰყავს, შეგვიძლია დავასკვნათ — ბრიტა-  
ნელ სამარტელდამცავეებს ვერაფერს გამოთავაზებ, კორტზე რა-  
ვინდ საინტერესო ამბები ხდებოდა, თვალი მაინც ტრებუნები-  
სკენ უჭირავთ.

# მთავარი კასი

შარშანდელ ნომბერს ლენოქს  
ლუისისგან ნაცემი ევანდერ პოლიფი-  
ლი 12 აგვისტოს ჯონ როისს ეჩხუბე-  
და. ასოციაციის მესვეურთ უბრძანებიათ,  
ლუისისთვის ჩამორთმეულ ქაშარს  
ახალი პატრონი სჭირდება და რინგი-  
სთვის სწორედ ეს ორი მეურვეიათ.  
რაო? ეს თმბაჩიჩილი კაცი ვინ არი-  
სო? გეტყობათ, კრეივთან მწყრალად  
ბრძანდებით, თორემ არ იკითხავდით.  
ამ სახეობაში ტაისონები, პოლიფილ-  
დება, ლუისები, მარჩიანოები, ალენი  
და საერთოდ ყველა გოლიათი დონ კი-  
ნეტთან შედარებით ბალღები არიან.  
კინგს მუშტი არ უჭრის, მაგრამ ცქუა  
საემარისად აქვს — სხვებს აჩხუბებს  
და შემოსული ფულის დიდ ნაწილს ვი-  
ბეში იღებს. მის პროფესიას კი პრო-  
მოუტერი ჰქვია.



REUTERS ლას ვეგასიდან

**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

ივარი რედაქტორი ზურაბ ზოცხვერია  
დირექტორი ბიორბი ოძრეძელი  
რედაქტორი თამაზ მიხრაიული  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ასპირანტი გურასაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი მახტან ბუნიკაძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ ბულიაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობინაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ბურაბ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე,  
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზაბეგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbili@iberiapac.ge  
ელექტრონული ვერსია  
http://www.sarbili.com.ge